



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy

2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

<p>შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტების სწავლება</p>	<p>ქესტური ენის თარჯიმნის ჩართვა 2020-2021 წლის სასწავლო პროცესში განხორციელდა ოდნავ დაგვიანებით, ნოემბრის მიწურულს.</p> <p>2020-2021 სასწავლო წელს აკადემიაში მომსახურება გასწია სულ 5 ქესტური ენის თარჯიმანმა, მათზე 2021 წელს გაცემული თანხა შეადგენს ჯამში 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარს.</p> <p>ქესტური ენის თარჯიმანების ჩართვა ვერ მოხერხდა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა ამ პირებისთვის დამატებითი მეცადინეობების ჩატარება. აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ, მათივე ინიციატივით, აღნიშნული საათები ჩატარდა უსასყიდლოდ.</p>
	<p>საგანმანათლებლო პროგრამების მოდული „დარგობრივი ინგლისური ენა“ სწავლის სედეგები შინაარსობრივად დისკრიმინაციული ხასიათის აღმოჩნდა აკადემიის სსსმ სტუდენტების შესაძლებლობებთან. შესაბამისად, აკადემიის მხრიდან აქტიური კომუნიკაცია შედგა განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრსა და განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტთან. აკადემიის მიერ, ასევე პროფესიული განათლების კონფერენციაზე წამოყენებული იქნა ინიციატივა ამ მიმართულებით გადახედილიყო საგანმანათლებლო სტანდარტები და შესულიყო ცვლილებები დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრის მიზნით. საკითხი დაისცა ქალთა ფედერაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტთან.</p> <p>სსსმპ უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული კომუნიკაციის</p>

	<p>(ექესთან, 29.06.2021; განათლების კომიტეტი 21.07.2021) საფუძველზე და პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ აკადემიის მიერ განხორციელებული ქმედებების (შშმპ შესაძლებლობებთან გონივრული მისადაგება - ზეპირი კომუნიკაციის ნაცვლად ტექსტის ტრანსკრიპტის შეთავაზება) პოზიტიურად შეფასების საფუძველზე და საკანონმდებლო დარღვევების თავიდან აცილებისა და ასევე, შშპირების უფლებების დაცვის მიზნით, აკადემიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.</p>
<p>გამოცდები</p>	<p>კვალიფიკაციის მინიჭებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტის საბოლოო შეფასება გადამწყვეტია. შესაბამისად გამოცდები დაიგეგმა კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით ინდივიდუალურად ჯგუფებისთვის, რაც გადანაწილდა ორ დღეზე (2021 წ. 6, 7 ივლისი). გამოცდის შეფასების სედეგების საფუძველზე განისაზღვრა განმეორებითი შეფასება (2021 წ. 17 ივლისი). პრაქტიკის კომპონენტის დასკვნით გამოცდაზე დაშვებული არ იქნა 1 პროფესიული სტუდენტი აკადემიური დავალიანების გამო.</p>
<p>პროფესიული სტუდენტებისთვის სეთავაზებული დამატებითი ტრენინგები</p>	<p>აკადემიის მიერ პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებით იქნა შეთავაზებული ტრენინგები, სემინარები შენდეგ საკითხებზე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისთვის 2 ეტაპად განხორციელდა ტრენინგი სილამაზის ობიექტების სანიტარული მოთხოვნები და კოვიდ-რეგულაციები. ტრენინგი განხორციელდა მოწვეული სპეციალისტის მიერ. 2. სტილისტები ჩართულნი იქნენ შპს ნატალი ჯგუფის მიერ ორგანიზებულ „ფრამეზის“ ვებინარებზე. ვებინარის თემატიკა მოიცავდა ტრენდული შედეგებისა და ვარცხნილობების ტექნოლოგიებს.

	<p>ვებინარის ენა - რუსული ენა, პედაგოგის უზრუნველყოფილი იყო თარგმანი ქართულ ენაზე.</p> <p>3. კანის მოვლა და სპა პროცედურები - ტრენინგი</p> <p>ესპანური პრემიუმ ბრენდისგან Germaine de Capuccini ტრენინგის თემატიკა</p> <p>მოიცავდა სპა სასტუმროების, ესთეტიკურ კლინიკების და სილამაზის ცენტრებისთვის ინოვაციური პროცედურების, პროგრამებისა და მასაჟის ექსკლუზიური ტექნოლოგიების შესწავლა ს. (2021 წ. 22 აპრილი)</p>
<p>პროფესიული მასწავლებლებისთვის ტრენინგები</p>	<p>პროფესიული მასწავლებლებისთვის განხორციელდა ტრენინგი „სილამაზის ობიექტების სანიტარული მოთხოვნები და კოვიდ-რეგულაციები“ (2020)</p> <p>აკადემიის პერსონალი ჩართული იყო გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ კორპორაციული პასუხისმგებლობის, გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გამდიერების თემაზე ჩატარებულ ტრენინგში (2020 w. 27-29 ivlisi)</p> <p>აკადემიის პერსონალისთვის განხორციელდა ტრენინგი დისტანციური სწავლების პლატფორმების/პროგრამების გამოყენების უნარების გამდიერების მიზნით.</p>
<p>არაფორმალური განათლების აღიარება</p>	<p>2021 წლის 27 იანვარს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკადემიას მიენიჭა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება. პროფესიული საგანმანათლებლო სივრცეში აკადემია იყო პირველი დაწესებულება, რომელმაც მოიპვა აღნიშნული უფლება.</p> <p>აკადემიის მენეჯმენტის მიერ ორგანიზებული იქნა სატელევიზიო სიუჟეტები ტელეგადაცემებში, სადაც აკადემიის დირექტორისა და ხარისხის მენეჯერის მიერ განხილული იქნა არაფორმალური</p>

	<p>განათლების აღიარება, როგორც პროფესიული განათლების რეფორმის კიდევ ერთ პროგრესული ნაბიჯი. სილამაზის ინდუსტრიის სპეციალისტებისთვის არაფორმალური განათლებით აღიარების მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე, კარიერის დაგეგმვასა და განვითარებისთვის პერსპექტივები.</p> <p>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულს, არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის წევრებისთვის ტრენინგზე მივლინებული იქნა აკადემიის 2 წარმომადგენელი (დირექტორი, დარგობრივი მასწავლებელი)</p>
<p>პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამები</p>	<p>2021 წლის განმავლობაში აკადემიამ მომზადა და ფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელების უფლება მოიპვა 6 პროფესიული მომზადების პროგრამაზე.</p> <p>ასევე სახელმწიფო დაფინანსებით მპროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების პროგრამა მოიპვა ერთ პროგრამაზე.</p> <p>2020 წელს აკადემიის მიერ ინიცირებული და იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ვიზაჟისტი კანის მოვლა და სპა პროცედურები ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი</p> <p>განფასება. აკადემიამ, კეონი აკადემიასთან ერთობლივად განახორციელა პროგრამების განფასება და სახელმწიფო დაფინანსებაში ჩართვა.</p> <p>აკადემიამ პანდემიიდან გამომდინარე, აკადემიის ხარისხის სამსახურის მიერ განახორციელდა „ სილამაზის მოსმახირების“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ყველა კონცენტრაციის ფარგლებში დისტანციური შესაძლებლობების განსაზღვრა. შემუშავებული იქნა შესაბამისი ცხრილი, რაც წარდგენილი იქნა</p>

	<p>პროფეიული განათლების სხვა პროვაიდერებისთვის.</p>
<p>აკადემიის სტრატეგიული დოკუმენტები</p>	<p>2019 წლის ნოემბერში აკადემიამ პსდ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია. ავტორიზაციისთვის განხლდა აკადემიის სტრატეგიული დოკუმენტები - გეგმები, გადაიხედა მისია, შემუშავდა ხედვა, განისაზღვრა ღირებულებები. წლის ბოლოს განისაზღვრა 2020 წლის სამოქმედო გეგმა. თუმცა 2020 წლის დასაწყისში განვითარებული ეპიდსუტაციიდან გამომდინარე აკადემიაში, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, მარტიდან ივლისამდე შეჩერებული იყო როგორც საგანმანათლებლო ისე ადმინისტრაციული საქმიანობა. ივლისიდან ფაქტობრივად დღემდე აკადემია დარჩა დისტანციური სწავლების რეჟიმში გარდა პრაქტიკული კომპონენტისა. შესაბამისად 2020 წლის სამოქმედო გეგმა აკადემიის დამფუძნებლისა და დირექტორის განკარგულებით, იმის გამო, რომ მნიშვნელოვანი ღონისძებების განხორციელება ვერ მოხერხდა, 2020 წლის ამოცანები 2021 წლისთვის აქტუალური დარჩა.</p> <p>წლის ბოლოს განხორციელდა აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების ანალიზი. განხილული იქნა ასევე დაწესებულების მისია, მისი შესაბამისობა მიზნებთან. აკადემიის კონტენტის დოკუმენტები (მისი, ხედვა, სტრატეგიული გეგმა) მოიცავს საქართველოს პროფესიული განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის მიზნებს.</p> <p>აკადემიის კონტენტის დოკუმენტები ორიენტირებულია ქვეყნისა და მისი მოქალაქეების მხარდაჭერაზე სოციალურ- კონომიკურ, პიროვნულ განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.</p>

	<p>აკადემია ზრუნავს მის მიერ განხორციელებული პროგრამები ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ფენისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობისთვის.</p>
<p>პარტნიორობა</p>	<p>2021 წლის 01 მაისს გაფორმდა მომორანდუმი "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი ქუთაისის პროგრამის" წარმომადგენლობასთან.</p> <p>მემორანდუმის მიზანს, ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის დამყარების გარდა წარმოადგენს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი ქუთაისის პროგრამის , ოჯახის გაძლიერების პროექტის ბენეფიციართათვის ტრენინგებით მხარდაჭერა.</p> <p>მემორანდუმის ფარგლებში 2021 წლის 3-6 ივლისს, „ნატალი აკადემიის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის, ნელი კილასონიას მიერ, "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი ქუთაისის პროგრამის" ბენეფიციარებისთვის (სულ 12 პირი), ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ როგორ დავიწყოთ ბიზნესი“. ტრენინგზე განხილულ იქნა მცირე ბიზნესის სტატუსის, მათ მიერ გადასახდელი გადასახადების, შეღავათებისა და პრივილეგიების შესახებ. ტრენინგმა ინტერაქტიულ რეჟიმში ჩაიარა.</p>
<p>კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა</p>	<p>ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში Skills4Jobs პროგრამის მხარდაჭერით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობით, გაიმართა პროფესიული განათლების კვირეული.</p> <p>ოთხდღიანი ონლაინ კონფერენციის ფარგლებში, განხილული იყო პროფესიული განათლების გამოწვევები Covid-19-ის ფონზე, განათლებისა და დასაქმების კუთხით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ტენდენციები, პანდემიის პირობებში სამუშაო ძალის განვითარებისა და სწავლა-სწავლების</p>

	<p>პროცესის სირთულეები, გადაჭრის გზები და სამომავლო პერსპექტივები. Natali Academy-ს ხარისხის მართვის მენეჯერმა ისაუბრა იმ გამოწვევებისა და გადაჭრის გზების შესახებ, რაც COVID-19-ის ფონზე აკადემიისა და ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კონკრეტულად სილამაზის მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წინაშე დადგა.</p>
<p>ხარისხის მექანიზმების შიდა უზრუნველყოფა</p>	<p>აკადემიის მიერ განხორციელდა 2020 წლის თვითშეფასება, რომელიც წარდგენილი იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.</p> <p>თვითშეფასების საფუძველზე, პსდ ავტორიზაციის სტანდარტების კრიტერიუმებით დაწესებულების საქმიანობა შეფასდა როგორც შესაბამისი. თუმცა აკადემიის მენეჯმენტის მიერ მალევე გამოვლინდა ნაკლებად ეფექტური კომპონენტები, ვებგვერდი, პერსონალის მართვის საკითხები, რისთვისაც გაიწერა შესაბამისობის გეგმები.</p>
<p>გამოვლენილი პრობლემები და სუსტ მხარეები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ადმინისტრაციული პერსონალის მაღალი დატვირთვა და რუტინული ოპერაციებით 2. პერსონალის სიმწირემცირე რიცხოვანი შტატი 3. არსებული/შეკრებილი ინფორმაციის რეგისტრაცია/დოკუმენტირება 4. ფინანსური ანალიზისა და ფინანსური ინდიკატორებისთვის ნაკლები ყურადღების დათმობა, ცალკე შტატის გამოყოფა

1. პრაქტიკის განხორციელება - საწარმოო პრაქტიკა განხორციელდა ძირითადად აკადემიის ბაზაზე. ლაზერული ეპილაციისთვის ამ ეტაპზე გამოყენებული იქნა „ანტიეიჯ კლინიკის“ ბაზა/ პროფესიუმა სტუდენტებმა მოდულის პრაქტიკული კომპონენტი გაიარეს კლინიკაში, ასევე

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში, აკადემიის მიერ განაცხადებები კეთდებოდა სოციალური ქსელებში სტუდენტური მომსახურების შესახებ, რაც გულიხმობს სალონის სერვისების შეთავაზება სპეციალური ტარფებით.

ლაზერული ეპილაციის შესახებ მომსახურება განხორციელდა კლინიკაში.

სპა-პროვედურები, ძირითადად შესრულდა აკადემიის დარგობრივ კაბინეტში, ასევე სტუდენტების მიერ მომსახურება გაწეული იქნა „ველნეს-ლაბის“ სპა კაბინეტში. ველნეს-ლაბში განხორციელდა ასევე მოდულის სპა და ჰიდროპეოცედურების სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტი.

საწარმოო პრაქტიკის ანგარიშების ანალიზიდან გამომდინარე, სტუდენტების მიერ სრულად არ ხდება განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტის ასახვა. ასევე არაა დღიურებში ასახული პრაქტიკის ანგარიშის შესრულებისთვის დათმობილი დრო/აქტივობა.

2. ტრანსფერული უნარები - მიუხედავად იმისა, რომ სწავლების პროცესში, ზოგადი, დარგობრივი თუ პრაქტიკის კომპონენტის ნაწილში ხშირად ხდება პრეზენტაციით თემების/პროექტების წარდგენა, სტუდენტების პრეზენტაციის უნარი, მაინც დაბალია.

პრეზენტაციით ხდება შეფასება:

1. ინგლისური ენა - პროფესიული კონტექსტთან დაკავშირებული საიტების წარდგენა
2. ინტერპერსონალური კომუნიკაცია -
3. სამოქალაქო განათლება
4. კანის, ფრჩხილის თმის აგებულება - პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ პრეზენტაცია
5. მეწარმეობა 1, მარკეტინგს და გაყიდვები - პროექტია წარდგენა
6. საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკული კომპონენტის ანგარიში
7. სილამაზის ობიექტების ორგანიზება - პიროვნული და პროფესიული განვითარების გეგმის წარდგენა.

პრაქტიკული კომპონენტის მოდულების - შესრულებული პრაქტიკული დავალებების პრეზენტაცია.